



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვიმი

გვიმი, 1. ჭის თავზე დადგმული ზღუდე ან „ჯურღმულის თორნე წყალთათჳს“ (საბა). ფართოდ არის გავრცელებული დას. საქართვე. დაბლობ ადგილებში. ჭის გ. სხვადასხვა მასალისაგან მზადდება. თიხის გ. ცილინდრული ფორმისაა, ოდნავ ძირგაგანიერებული და გეომ. ორნამენტით ან ანთროპომორფული სახეებით შემკული. ქვის გ-ს ან მთლიანი ქვიდან თლიან (იგი ცილინდრული მოყვანილობისაა), ან რიყის ქვით აშენებენ (მომრგვალო ანდა ოთხკუთხედიანი); ხის გ. ფორმით ოთხკუთხაა. გვხვდება ცემენტის გ-ებიც. ჭაში ჩადგმული გ. ცილინდრულია, მომეტებულად თიხისაა, იშვიათად თლილი ქვისა. იყენებენ ნესტიან ადგილებში. მისი მთავარი დანიშნულებაა ჭის კედლების გამაგრება (ჰიდროიზოლაცია). არსებობს წყაროს გ-ც (უმთავრესად სამეგრელოშია გავრცელებული). იგი მცირე ზომისაა, ცილინდრული, როგორც წესი, თიხისა; წყაროს თვალში სანახევროდაა ჩამჭდარი და წყლის გამოსასვლელად მილი ან ნახვრეტები აქვს გაკეთებული. 2. საკვამლე მილის ის ნაწილი, რ-იც სახურავის ზევითაა.

რ. თოდუა
